ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში 2017-2019 წლებში

ელენე მეძმარიაშვილი

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„მთელ მსოფლიოში ქალების ხელშეწყობით, ჩვენ ინვესტიციას ვდებთ საკუთარ ოჯახებში, აყვავებასა და მშვიდობაში“.

პრეზიდენტი დონალდ ჯ. ტრამპი
ივნისი, 2019

დონალდ ტრამპის 2019 წლის ივნისში გამოთქმული ეს მოსაზრება დიდად არ შეესაბამება მისი ადმინისტრაციის პოლიტიკას, რომელსაც იგი თავისი პრეზიდენტობის პირველი ორი წლის განმავლობაში ატარებდა.

მოცემულ სტატიაში ქალთა საკითხებში 2017-2019 წლებში ტრამპის ადმინისტრაციის მიერ გატარებულ პოლიტიკას განვიხილავ. მიუხედავად იმისა, რომ აბორტის, კონტრაცეპტივების გამოყენებისა და, ზოგადად, ქალის ჯანდაცვის პრობლემებს დიდი ადგილი უკავია ტრამპისდროინდელ ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის დღის წესრიგში, ყურადღებას გავამახვილებ ქალების სამუშაო ადგილებსა და არათანაბარი ხელფასის, ასევე, ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის საკითხებზე.

მაინც როგორი იყო ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში მისი პირველი საპრეზიდენტო ვადის შუა ხანისთვის, 2019 წლისთვის, რომელიც ქალების საარჩევნო უფლების მოპოვების 100 წლისთავს დაემთხვა?

ახალ ადმინისტრაციას ამერიკელი ქალები პროტესტით შეხვდნენ. 2017 წლის იანვარში პრეზიდენტ ტრამპის წინააღმდეგ მილიონობით ქალი შეერთებული შტატების ქალაქების ქუჩებში გავიდა. ძირითადად, ეს ლიბერალი ქალები უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ „პრეზიდენტობის ღირსეულმა კანდიდატმა“ ჰილარი კლინტონმა არჩევნები წააგო მაშინ, როდესაც მის წარმატებას ყველა ელოდა. მაგრამ უფრო მეტად მათი გულგატეხილობის მიზეზი ტრამპის გამარჯვება იყო. საარჩევნო კამპანიისას ამ უკანასკნელის რამდენიმე სექსისტურმა გამონათქვამმა ისინი დააფრთხო, რადგან ჩათვალეს, რომ იგი ქალთა უფლებებს შელახავდა. ზოგიერთს იმისიც კი ეშინოდა, რომ ახალ პრეზიდენტს მოსახლეობის ნახევარზე მეტისადმი მთელი ერის დამოკიდებულების კარდინალურად შეცვლა შეეძლო.

გამოსვლების შემდეგ ტრამპის სექსისტურმა რიტორიკამ ქალის როლზე ოჯახსა და სამსახურში ყველა გააერთიანა და ტრამპის ანტიქალური პოლიტიკის წინააღმდეგ დარაზმა. თავის მხრივ, ქალთა მარშმა აქტივისტებს სტიმული მისცა. სოციალურ ქსელებთან ერთად, ერთი წლის შემდეგ მან საფუძველი ჩაუყარა მოძრაობის ეთოო წარმოქმნას, რომელმაც გარკვეულ წარმატებას მიაღწია და გენდერული თანასწორობის საკითხი დღის წესრიგში კვლავ დააყენა. გარდა ამისა, სახელმწიფო თანამდებობებზე დემოკრატი ქალების არჩევის ხელშესაწყობად შეიქმნა ისეთი ჯგუფი, როგორიც არის „ემილის სია“. ტრამპის ეპოქაში ქალი-კანდიდატების ნამდვილი ბუმი დაიწყო. ემილის სიის პრესმდივანმა კრისტინა რეინოლდმა აღნიშნა, რომ „ტრამპის იანაუგურაციიდან ერთი წლის განმავლობაში ქალებმა მოაწყვეს მარში, გააფართოვეს მოძრაობა, გააქტიურდნენ როგორც არჩევნებში, ასევე კანდიდატების წამოყენების თვალსაზრისით“ (Siddique, 2018).

ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის არაერთი დაპირების მიუხადავად, რომ ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებაში თანხებს დააბანდებდნენ, პრეზიდენტის საქმიანობამ აშკარა გახადა, რომ ის და მისი გუნდი თანამედროვე დასაქმებული ქალების მოთხოვნებს არ ითვალისწინებდნენ და მათ უფლებებს არღვევდნენ. ეს გამოიხატა ჯანდაცვაზე შეტევებით და წამყვან თანამდებობებზე ქალების წამოყენების სიმცირით. ტრამპის ნაბიჯებს ამ მიმართულებით ოთხ თემად ყოფენ: ოჯახის ეკონომიკური უსაფრთხოების შერყევა და ბავშვების რისკის ქვეშ დაყენება; რეპროდუქციული უფლებების დარღვევა; ქალთა კანონიერი უფლებების დარღვევა; გენდერული ძალადობისგან ქალების დაცვის შესუსტება; ქალთა ლიდერობის შერყევა; ოჯახების დაშლა; ჯანმრთელობაზე ზრუნვის შემცირება. ყველა ამ საკითხზე თავისი აზრი ტრამპმა კონგრესისადმი 2017 წლის 28 თებერვალს გაგზავნილ მიმართვაში დააფიქსირა.

თავისი ადმინისტრაციის პირველი წელი ტრამპმა დაუთმო მისი წინამორბედის კანონებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, რომლებიც ობამას ადმინისტრაციამ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მიიღო, დაწყებული მისი ჯანდაცვის პროგრამით და დამთავრებული ქალებისა და კაცების ანაზღაურებაში განსხვავების შემცირების ღონისძიებით.

ის, რომ ტრამპის ადმინისტრაცია ქალთა ყველა უფლებას არ იცავს, მეტყველებს შემდეგი: მისი მომხრეები ამბობენ, რომ, მართალია, ადმინისტრაცია აბორტების წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ, სამაგიეროდ, ყოველმხრივ მხარს უჭერს ქალთა ეკონომიკური უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებას მთელ მსოფლიოში. მოწინააღმდეგეები კი აცხადებენ, რომ ადმინისტრაცია ტრადიციულ დასავლელ მოკავშირეებს კარგავს იმის გამო, რომ მხარს უჭერს ქვეყნებს, სადაც ადამიანის და, განსაკუთრებით, ქალთა და გენდერული უფლებები იზღუდება.

ამის გამო, მათი აზრით, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ტრამპის ადმინისტრაცია ქალებსა და მათ უფლებებზე ზრუნავს. ეს განაცხადა შენონ კოვალსკიმ, საერთაშორისო ორგანიზაციის ქალთა ჯანმრთელობის დაცვისა და პოლიტიკის კოალიციის დირექტორმა. „ამის ნაცვლად ისინი ცდილობენ კომისიის გამოყენებას ქალებისა და გოგონებისთვის საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის წასართმევად", – აღნიშნა მან (Lynch, Gramer, 2019).

თანაბარი ანაზღაურებისკენ სწრაფვა ტრამპის ეპოქაში არ შეცვლილა. თუმცა ეს წინასაარჩევნო დაპირება მის ქალიშვილს, ივანკას, ეკუთვნოდა და არა თვით ტრამპს. ზოგიერთი ივანკა ტრამპს ადანაშაულებს იმაში, რომ მან თავისი წვლილი შეიტანა იმ კანონპროექტის შეჩერებაში, რომელიც კომპანიებს აიძულებს გენდერული ნიშნით ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის გახსნას. ცხადია, ეს წინგადადგმულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება.

როგორც როიტერის სააგენტო იტყობინებოდა, 2019 წლისთვის ანაზღაურების სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა: ქალები კაცების შემოსავლის მხოლოდ ნახევარს იღებდნენ 15 წლის განმავლობაში, ოჯახზე დახარჯული დროის გათვალისწინებით. მამა-შვილი ტრამპი გარკვეული ხნის განმავლობაში ამაზე დუმდა. სამაგიეროდ, არ დუმს სტატისტიკა. ქალების ხელფასი კაცების ერთი კვირის ხელფასის 82%-ია, აფროამერიკელი ქალების – 68%, ლათინოამერიკელი ქალების – 62% (Source: Institute for Women's Policy Research; USA Today).

ივანკა ტრამპს კარგად ესმის, რომ ქალისა და კაცის ანაზღაურებაში განსხვავების შემცირებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკელი ქალების ეკონომიკური უფლებების გაფართოებისთვის. ამიტომ მან ყველას ამ მიზნის მისაღწევად გაერთიანებისკენ მოუწოდა. „ამაყი ვარ, რომ მამასთან ერთად აღნიშნულ საკითხზე ვმუშაობთ და მხარს ვუჭერ ადმინისტრაციის ვალდებულებას ქალებისა და ოჯახების წინაშე" (Lynch, Gramer, 2019).

ამასთან ერთად, ინტერვიუში ABC News-თან კითხვაზე, თუ როგორ უთავსებდა თავის ინიციატივას დახმარებოდა 50 მლნ ქალს განვითარებად სამყაროში მათი ეკონომიკური უფლებებისა და შესაძლებლობების მისაღწევად, ტრამპის ადმინისტრაციის რეალურ პოლიტიკას ქალთა საკითხებში 2025 წლისთვის, ივანკა ტრამპმა განაცხადა, რომ „იგი არ ახმოვანებს, როდესაც მისი, როგორც ადმინისტრაციის წევრის, საქმიანობა არ ემთხვევა მის საკუთარ შეხედულებას". „მაგრამ ჩემი როლი არ გამოიხატება „ქალთა ყველა საკითხში პრეზიდენტობით" ან ქალთა ყველა პრობლემის მოგვარებით შეერთებული შტატების მთავრობაში" (Reese, 2019).

ერთ-ერთმა აქტივისტმა (Naral Pro-Choice America-ს პრესმდივანმა კეილი ჰენსონ ლონგმა) ტრამპის ადმინისტრაცია შეაფასა, როგორც „ყველაზე უარესი ქალებისა და ოჯახებისთვის იმ ადმინისტრაციებს შორის, რომელიც

ოდესმე გვყოლია“ (Siddique, 2018). მსგავსი შეფასება პირველია მას შემდეგ, რაც ყველაზე ანტიქალურად რეიგანის ადმინისტრაცია იყო გამოცხადებული.

რა ნაბიჯები გადადგა ტრამპის ადმინისტრაციამ ქალთა ლიდერობის წინააღმდეგ? (იხ. Frothingham, Phadke. 2017)

1. ვერ მოხერხდა ქალებისა და ფერადკანიანების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნა. რეიგანის დროიდან ის ყველაზე „თეთრი“ და „კაცურია“. ქალებს მის ადმინისტრაციაში უფრო დაბალი პოზიციები უკავიათ, ვიდრე მამაკაცებს (Lee, 2017).
2. სამ კაცზე ერთი ქალი მოდის დანიშნულთა შორის, რომლებსაც სენატის თანხმობა არ სჭირდება (Crockett, 2017).
3. ტრამპის ადმინისტრაციის პირველი 100 დღის განმავლობაში თეთრ სახლთან არსებული და ბარაკ ობამას მიერ შექმნილი ქალთა და გოგონათა საკითხების საბჭო უმოქმედოდ იყო, ვინაიდან არ ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ზომებს იღებდა ესა თუ ის დაწესებულება ქალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (Storey, 2017).
4. ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი ხელმძღვანელი თანამდებობები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ქალები იკავებდნენ, ვაკანტური დარჩა. მაგალითად, ტრამპმა უგულებელყო ქალის ისეთი თანამდებობები, როგორიც არის სახელმწიფო დეპარტამენტში ელჩი ქალთა გლობალური პრობლემების საკითხებში და აშშ-ის იუსტიციის სამინისტროში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს დირექტორი (U.S. Department of State, “Global Women’s Issues (Ambassador-at-Large): Vacant”, 2017; U.S. Department of Labor Women’s Bureau, “About Us”, 2017.).
5. ქალთა დამოუკიდებლობის იგნორირებით გამოირჩევა ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი. მაგალითად, იგი ქალის ჯარში სამსახურის წინააღმდეგია (Kelly, 2016; Bellstrom, 2016; Schumaker, 2016; Crockett, 2017).
6. ტრამპმა გააუქმა შრომის სამინისტროს ქალთა ბიურო, რომელიც მომუშავე ქალების ინტერესებს იცავდა (Office of Management and Budget, *America First)*.
7. მის მიერ დანიშნული მინისტრები და სხვა მაღალი თანამდებობის პირები ქალთა პრობლემების მიმართ გულგრილები აღმოჩდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი სექსუალურ ძალადობაშიც კი ამხილეს (Holmes and Frothingham, 2017).

ტრამპის ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დამტკიცებული ჯეფ სეშონსი ქალთა უფლებებს არ დაიცავდა, ვინაიდან ცნობილი იყო მისი დამოკიდებულება სამოქალაქო და ქალთა უფლებებისადმი (Dastagir, 2017; Lockhart, 2017).

ამგვარად, ტრამპის ადმინისტრაციის საქმიანობის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ მას ქალთა პრობლემები არ ესმოდა. მისი პირველი ნაბიჯები ქალებისა და მათი ოჯახებისთვის შეიძლებოდა არასახარბიელოდ დასრულებულიყო და პროგრესი ქალთა საკითხების მოგვარებაში საფრთხის ქვეშ იყო.

მსგავსმა პოლიტიკამ ისევე, როგორც რეიგანის ე.წ. ანტიქალური ადმინისტრაციის დროს, ქალთა მოძრაობა განსაკუთრებით გააქტიურა. ქალების რეკორდულმა რაოდენობამ მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა 2018 წლის შუალედურ არჩევნებსა და შტატების არჩევნებში. ნენსი პელოსი კვლავ გახდა წარმომადგენელთა პალატის სპიკერი, ე.ი. იგი მესამეა სიაში, ვისაც პრეზიდენტის სავარძლის დაკავება შეუძლია ტრამპის გადადგომის შემთხვევაში.

კრიტიკოსებმა და მეცნიერებმა 2017 წელი „ქალის წლად“ გამოაცხადეს. რამდენიმე ქალმა გამოაცხადა კიდეც, რომ 2020 წლის არჩევნებში თავიანთი კანდიდატურის წამოყენებით იყვნენ დაინტერესებული. ასეც მოხდა და 27 დემოკრატი კანდიდატიდან ექვსი ქალი იყო, რომლებიც შიდაპარტიულ არჩევნებში, მართალია, დამარცხდნენ, მაგრამ თვით ამდენი ქალი-კანდიდატის წამოყენების ფაქტი უკვე მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. ვფიქრობ, ეს შედეგი წინა ოთხი წლის განმავლობაში დემოკრატი ქალების „გაბრაზების, ორგანიზებულობისა და 2018 წლის შუალედურ არჩევნებში უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობით მათი გამარჯვების“ (Kurtzleben, 2017) შედეგია. მსგავსი ფაქტი შეერთებული შტატების ისტორიაში პირველად მოხდა, რაც ტრამპის ადმინისტრაციის ანტიქალური და სექსისტური პოლიტიკის ერთგვარ „დამსახურებადაც“ შეიძლება ჩაითვალოს.

თუმცა ქალები ერთიანი არასდროს ყოფილან და არც ახლა არიან. მაგალითად, მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც ქალთა მარშის უკან იდგა და მილიონობით ქალი ქუჩაში გაიყვანა, მალევე დამარცხდა. სწორედ ერთიანობის არარსებობის გამო, მას იგივე ბედი ეწია, რაც ამერიკელ ქალთა სხვა ორგანიზაციებს. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ როდესაც საქმე შეერთებული შტატების უფლებებს ეხება, ადამიანები, თავიანთი ხმით, ხშირად მასზე უშუალო გავლენას ახდენენ.

ალბათ ტრამპის მოწინააღმდეგეებს ბოლომდე ვერ დავეთანხმები იმაში, რომ ქალთა საკითხებში მისი ადმინისტრაცია არაფერს აკეთებს. მაგალითად, მან წარადგინა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ექვსკვირიან ანაზღაურებულ დეკრეტულ შვებულებას, თორმეტკვირიანი უხელფასოს ნაცვლად, რომელიც 1993 წლიდან მოქმედებდა (Olson, Daniel, 2019).

დემოკრატებმა, რომლებიც წარმომადგენელთა პალატის უმრავლესობას შეადგენენ, წინააღმდეგობა გაუწიეს კანონპროექტს, ვინაიდან, მათი მტკიცებით, დედებს საკუთარი საპენსიო დანაზოგიდან აღებული თანხით

გადაუხდიდნენ. ასე რომ, აშშ განვითარებული სამყაროს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ანაზღაურებული დეკრეტული შვებულება არ არსებობს.

როგორც ფაქტები გვკარნახობს, ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში გაორებულია. მაგალითად, 2019 წლის მარტში ჩატარდა გაეროს ქალთა კონფერენცია, რომელზეც აშშ-ის დელეგაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ტარა დემანტმა, Amnesty International-ის გენდერის, სექსუალობისა და იდენტობის პროგრამის დირექტორმა, განაცხადა, რომ ტრამპის ადმინისტრაცია „გამოდის ნებისმიერი დისკრიმინაციის წინააღმდეგ" და „მტკიცეა ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების დაცვისას" (Lynch, Gramer, 2019), მაგრამ სიტყვები და საქმე ერთმანეთს არ ემთხვეოდა. აღნიშნულ კონფერენციაზე აშშ-ის დელეგაციაში აბორტის მოწინააღმდეგე კონსერვატორები შედიოდნენ, რომლებიც ტრამპის ადმინისტრაციის პოზიციას გამოხატავდნენ და 1995 წლის ქალთა უფლებების პეკინის დეკლარაციისადმი საერთაშორისო მხარდაჭერის შესუსტებას ცდილობდნენ. დეკლარაციას შტატების ყველა დემოკრატიულმა და რესპუბლიკურმა ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა. ერთადერთი, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ამ დოკუმენტის იურიდიული ძალის აღიარებაზე უარს ამბობდა (იქვე).

ამგვარად, შეიძლება რამდენიმე დასკვნის გამოტანა ტრამპის ადმინისტრაციის პირველი ორი წლის განმავლობაში ქალთა საკითხებში გატარებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით:

- აღნიშნული წლების ტრამპის ადმინისტრაცია ანტიქალურ პოლიტიკას ატარებდა.
- ასეთი პოლიტიკის გატარებაზე პასუხი ამერიკელ ქალთა მოძრაობის აღმავლობა იყო. ეს გამოვლინდა როგორც არჩევნებში მათი უფრო აქტიურად ჩართვით, ასევე, არჩევით თანამდებობებზე საკუთარი კანდიდატურების ფართოდ წამოყენებით.
- ტრამპისთვის უფრო მნიშვნელოვანია ქალების ეკონომიკური და არა პოლიტიკური უფლებების გაფართოებაზე ზრუნვა.

ვფიქრობ, შეერთებულ შტატებში აგორებულია ამერიკელ ქალთა მოძრაობის მორიგი ტალღა, რომელიც შესაძლებელია მათი უფლებების გაფართოებით და რეალური თანასწორუფლებიანობის მიღწევით დასრულდეს. ასეთი დასკვნის გაკეთებას შტატების ისტორია მკარნახობს, როდესაც ყოველი ისტორიული თუ ეკონომიკური კატაკლიზმის და, განსაკუთრებით, ანტიქალური პოლიტიკის გატარების შედეგი ქალთა უფლებების გაფართოება იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bellstrom Kristen, "Mike Pence Used Disney's 'Mulan' to Argue that Women Shouldn't Serve in the Military", *Fortune*, July 18, 2016, მოძიებულია მისამართზე: http://fortune.com/2016/07/18/mike-pence-mulan-women-military/
2. Crockett Emily, "Mike Pence is one of the most anti-abortion Republicans in Washington. Here's his record.", Vox, January 27, 2017, მოძიებულია მისამართზე: http://www.vox.com/identities/2017/1/27/14412660/mike-pence-record-abortion-reproductive-rights-march-for-life
3. Crockett Emily, "Trump is appointing 3 men for every woman. Here's where he's hiring them", Vox, March 13, 2017, მოძიებულია მისამართზე: http://www.vox.com/identities/2017/3/13/14873958/trump-gender-gap-hires-appointments-departments
4. Dastagir Alia E., "Who is Jeff Sessions? We'll let him tell you.", *USA Today*, February 9, 2017, მოძიებულია მისამართზე: https://www.usatoday.com/story/news/politics/2017/02/09/jeff-sessions-attorney-general-trump-cabinet/97657858/
5. Frothingham Sunny, Phadke Shilpa. 100 Days, 100 Ways the Trump Administration Is Harming Women and Families, April 25, 2017. Center for American Progress. მოძიებულია მისამართზე: https://cdn.americanprogress.org/content/uploads/2017/04/25113307/100DaysWomen-brief1.pdf
6. Holmes Kaitlin and Frothingham Sunny, "Who Said It: A Character From Mad Men Or Trump's Labor Secretary Pick, Andrew Puzder?", Generation Progress, February 10, 2017, მოძიებულია მისამართზე: http://genprogress.org/voices/2017/02/10/45172/said-character-mad-men-trumps-labor-secretary-pick-andrew-puzder
7. Kelly Niki, "Pro-life group gains contract from Pence", *The Journal Gazette*, March 15, 2016, მოძიებულია მისამართზე: http://www.journalgazette.net/news/local/indiana/Pro-life-group-gains-contract-from-Pence-9318307
8. Kurtzleben Daniel, Did Gender Keep Democratic Women from Winning the Presidential Primary?, 2020, April 17, მოძიებულია 2020 წლის 16 მაისს, მისამართზე: https://www.npr.org/2020/04/17/818952460/did-gender-keep-democratic-women-from-winning-the-primary
9. Lee Jasmine C., "Trump's Cabinet So Far Is More White and Male Than Any First Cabinet Since Reagan's", *The New York Times*, March 10, 2017, მოძიებულია მისამართზე: https://www.nytimes.com/interactive/2017/01/13/us/politics/trump-cabinet-women-minorities.html?–r=1
10. Lockhart P.R., "Jeff Sessions Is in Charge of Enforcing the Violence Against Women Act, and Victims' Advocates Are Worried", *Mother Jones*, February 22, 2017, მოძიებულია მისამართზე: http://www.motherjones.com/politics/2017/02/sessions-justice-department-violence-against-women-act-enforcement

11. Lynch Colum, Gramer Robbie, At the U.N., America Turns Back the Clock on Women's Rights, 2019 წლის 14 მარტი, მოძიებულია 2019 წლის 10 აპრილს მისამართზე: https://foreignpolicy.com/2019/03/14/at-united-nations-women-rights-gender-health-trump-diplomacy/
12. Office of Management and Budget, *America First*
13. Olson Emily, Zoe Daniel, How two years of Donald Trump have shaped women's rights in the US, 19 Jan 2019. მოძიებულია 2019 წლის 29 იანვარს, მისამართზე: https://www.abc.net.au/news/2019-01-19/donald-trumps-presidency-two-years-shaped-womens-rights-us/10728882
14. Reese Ashley, Ivanka Trump Says She Is Not 'President of All Women's Issues', 2.08.19. მოძიებულია 2.28.19. მისამართზე: .https://theslot.jezebel.com/ivanka-trump-says-she-is-not-president-of-all-womens-is-1832460691
15. Schumaker Erin, "Mike Pence's Defining Moment As Governor? Enabling An HIV Outbreak", The Huffington Post, October 5, 2016, მოძიებულია მისამართზე: http://www.huffingtonpost.com/entry/mike-pence-indiana-hiv–us–57f53b-9be4b002a7312022ef
16. Siddique Sabrina, How has Donald Tramp's first year affected women? the Gardian, 18 Jan 2018. https://www.theguardian.com/us-news/2018/jan/18/how-has-donald-trumps-first-year-affected-women
17. Storey Kate, "What Will Donald Trump Do With the White House Council on Women and Girls?", *Cosmopolitan*, March 2, 2017, მოძიებულია მისამართზე: http://www.cosmopolitan.com/politics/a9080776/donald-trump-council-for-women-entrepreneurs/
18. U.S. Department of State, "Global Women's Issues (Ambassador-at-Large): Vacant", 02.04.17. მოძიებულია 20.03.19. მისამართზე: https://www.state.gov/r/pa/ei/biog/title/as/204538.htm
19. U.S. Department of Labor Women's Bureau, "About Us", 04.17. მოძიებულია 03.0004.19, მისამართზე: https://www.dol.gov/wb/info–about–wb/about–wb.htm

Tramp Administration Policy on Women Issues, 2017-2019

Elene Medzmariashvili

Director of MA and PhD Programs in American Studies, TSU

Abstract

In the article, on the basis of numerous sources, the author tries to answer the following questions: what was the Trump administration policy on women issues by the 2019, specifically, why most of American women were unhappy with his arrival to power, why

the politics of Tramp administration was considered as anti-woman policy, why the question of Gender equality has become relevant and what were its results.

The author underlines the similarity of the outcome of the anti-woman politics of Trump and Reagan administrations, specifically, the rise of the women movement. As a consequence of the growth of that movement, a record number of women-democrats participated and defeated their opponents in the midterm elections in 2018.

At the same time, the author does not agree completely with the opponents of Trump that his administration did nothing on the matter. His policy on women issues was forked. His words and deeds did not coincide. For Trump women' economic rights were more important than political ones.

According to the author, a new wave of American women movement began in the United States, which may end with the rise of their rights and real equality. The basis of such an opinion is the history of the States, when each historical or economic cataclysm and especially anti-woman policy leads to the expansion of the women' rights.